



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1038
25/05/2018

ქალაქი ბათუმი

1038-05-4-201805251650



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მიერ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანება“-სათვის სახელმწიფო შესყიდვის საშუალებით შეძენილი ქონების მიმღები კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესი“-ს, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“-სა და მერიის ადმინისტრაციული სამსახურის შესყიდვების განყოფილების 2018 წლის 21 მაისის №1445-05 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე **ვბრძანებ**:

1. შეიქმნას კომისია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანება“-სათვის სახელმწიფო შესყიდვების საშუალებით შეძენილი ქონების მიღების მიზნით შემდეგი შემადგენლობით:

- ა) მირზა ბახტაძე - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის თავმჯდომარე;
- ბ) ომარ დუმბაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი;
- გ) ანა ბაჟაშვილი - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმწყობის სამსახურის, ქონების მართვის განყოფილების უფროსი - კომისიის მდივანი;
- დ) მადონა დავითაძე - მერიის განათლების და კულტურის სამსახურის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი - კომისიის წევრი;
- ე) ნატო შერვაშიძე - ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორი - კომისიის წევრი;
- ვ) მარიანა გოგოლიშვილი - ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის მოადგილე მეთოდურ დარგში - კომისიის წევრი;
- ზ) ნარგიზ დუმბაძე - ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების ბუღალტერი- კომისიის წევრი.

2. კომისიამ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ - საქართველოს კანონის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით

დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესი“-ს, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“-ს შესაბამისად უზრუნველყოს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების (ვალდებულებების) შესრულების კონტროლი და შესრულებული ვალდებულებების მიღება-ჩაბარების უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

